

შპს გალანტი

**ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2019 წლის 31 დეკემბერს**

შპს გალანტი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----- გვ. 3

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება ----- გვ. 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ---გვ. 5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -გვ. 6-25

შპს გალანტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	<u>შენიშვნა</u>	<u>2019</u>	<u>2018</u>
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	377,329	858,451
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	4	1,989,750	2,031,788
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	47,972
სხვა აქტივები	5	2,211,231	1,780,825
სულ მიმდინარე აქტივები		4,578,310	4,719,036
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	639	1,097
არამატერიალური აქტივები	7	846	1,080
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,485	2,177
სულ აქტივები		4,579,795	4,721,213
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	217,257	242,523
საგადასახადო ვალდებულება		3,338	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		220,595	242,523
სულ ვალდებულება		220,595	242,523
კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		300	300
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,358,900	4,478,390
სულ საკუთარი კაპიტალი		4,359,200	4,478,690
სულ კაპიტალი		4,359,200	4,478,690
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,579,795	4,721,213

დირექტორი: ნიზამ მამედოვი

ბ. ა.

შპს გალანტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	377,329	858,451
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	4	1,989,750	2,031,788
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	47,972
სხვა აქტივები	5	2,211,231	1,780,825
სულ მიმდინარე აქტივები		4,578,310	4,719,036
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	639	1,097
არამატერიალური აქტივები	7	846	1,080
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,485	2,177
სულ აქტივები		4,579,795	4,721,213
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	217,257	242,523
საგადასახადო ვალდებულება		3,338	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		220,595	242,523
სულ ვალდებულება		220,595	242,523
კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		300	300
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,358,900	4,478,390
სულ საკუთარი კაპიტალი		4,359,200	4,478,690
სულ კაპიტალი		4,359,200	4,478,690
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,579,795	4,721,213

დირექტორი: ნიზამ მამედოვი



ბ. ა.



შპს გალანტი

მოგება - ბარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	<u>შენიშვნა</u>	<u>2019</u>	<u>2018</u>
ამონაგები	9	6,041,662	5,687,367
თვითღირებულება	10	(4,930,291)	(4,423,396)
საერთო მოგება		1,111,371	1,263,971
სხვა შემოსავლები		1,622	7,372
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	11	(177,206)	(155,816)
საოპერაციო მოგება		935,787	1,115,527
ფინანსური შემოსავალი	12	76,554	65,828
წმინდა საფალუტო ბარალი/მოგება		142,106	60,585
მოგება დაბეგვრამდე		1,154,447	1,241,940
მოგების გადასახადი	13	(45,000)	-
წმინდა მოგება		1,109,447	1,241,940
მთლიანი სრული შემოსავალი		1,109,447	1,241,940

შპს გალანტი
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების
ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	300	4,478,390	4,478,690
წმინდა მოგება	-	1,109,447	1,109,447
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1,109,447	1,109,447
გაცემული დივიდენდი	-	1,228,937	1,228,937
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	300	4,358,900	4,359,200

შპს გალანტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს გალანტი (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2006 წლის 27 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 202362978. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ.თბილისის დიდუბის რაიონი, წერეთლის გ. #77ა, ფაქტიური მისამართი თბილისი, ქვეშეთის ქ. # 8. კომპანია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2007 წლის 1-ელი თებერვლიდან.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კოსმეტიკური ნაწარმისა და პარფიუმერიის იმპორტი და საბითუმო ვაჭრობა. შპს გალანტი საქართველოს ბაზარზე ახდენს მრავალი დასახელების საქონლის იმპორტს, ესენია: სახისა და ტანის მოვლის დიდი ასორტიმენტის კოსმეტიკური საშუალებები: კანის საცხები, გამწმენდი სკრაბი, რძე და ლოსიონები, საპონი და დუშგელები, დამცავი საცხები და ზეთები; სახის, თვალის და წარბის მაკიაჟის საშუალებები; თმის საღებავები, მისი მოვლის და დეპილაციის საშუალებები: შამპუნი, ბალზამი, კოსმეტიკური დამცავი და მკვებავი ნიღბები, დეპილაციის კომპლექტები; ფრჩხილების მოვლა და საშუალებები; ასევე პარფიუმერული სუნამოები და ლოსიონები, ჰიგიენური მოვლის საშუალებები და სხვადასხვა კოსმეტიკური პროდუქტი, საყოფაცხოვრებო ჰიგიენური საშუალებების იმპორტი, 2019 წელს კომპანიამ კიდევ გააფართოვა პროდუქციის ასორტიმენტი და დაიწყო ფრჩხილის მოვლისთვის მანიკურის და პედიკურის საშუალებების იმპორტი.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია ნიზამ მამედოვი, 01023001258. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 300 ლარს.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 4 ადამიანი.

2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, პრინციპები და სააღრიცხვო პოლიტიკა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი და პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შემდეგი სააღრიცხვო პრინციპებით:

- * ფუნქციონირებადი საწარმო;
- * დარიცხვის მეთოდი;
- * წარდგენის უცვლელობა;
- * არსებითობა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია სასარგებლოა და აღქმადი, დაცულია ბალანსი ინფორმაციის სარგებლიანობასა და დანახარჯებს შორის. ინფორმაცია არსებითია და შესაბამისი,

ოპერაციები და მოვლენები საიმედოა და წარდგენილია სრულად, მათი ეკონომიკური შინაარსის საფუძველზე, სამეურნეო მოვლენებს და ოპერაციებს არ ახლავს განუსაზღვრელობები.

მსს ფასს სტანდარტების პირველად გამოყენება და წარდგენის პერიოდულობა

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს **მეორედ**.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის წარდგენის პერიოდულობა ითვალისწინებს წარდგენას წელიწადში ერთხელ.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი და მუხლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ანგარიშგების პაკეტი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდის:

- * ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
- * 2019 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
- * 2019 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას;
- * ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს;
- * სხვა დამატებითი ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგების მუხლების შეფასება

შეფასება არის ფულადი სიდიდეების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში მისი მუხლების აღიარება. შეფასების პროცესი გულისხმობს შეფასების გარკვეული საფუძვლის შერჩევას. შეფასების საფუძველია პირვანდელი და რეალური ღირებულება.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ფუნქციონირებს, ეს არის კომპანიის ფუნქციური ვალუტა; ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ფუნქციური, შეფასების და წარსადგენი ვალუტა.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ბალანსის შედგენის თარიღისთვის ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. წარმოქმნილი კურსთა შორის სხვაობა, რომელიც მიიღება ტრანზაქციების განხორციელებასა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად, წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივების იდენტიფიცირება, კლასიფიკაცია, აღიარება და შეწყვეტა

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ **ძირითად** ფინანსურ ინსტრუმენტებს:

- რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;
- 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - სანარმო დაუყოვნებლივ შექმნის საეჭვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის სანარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად სანარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც,

არის კანონიერი უფლება, რომ აგრევირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ტერმინთა განმარტება

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არის მისი აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელიც წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

აქტივები არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოვლის ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

ვალდებულება საწარმოს მიმდინარე მოვალეობაა, რომელიც წარმოიშვა წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს საწარმოდან რესურსების გასვლას, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი.

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ფინანსურ ანგარიშგებაში კაპიტალი დაყოფილია ქვეკატეგორიებად. მაგალითად, გაუნაწილებელი მოგება და შემოსულობა ან ზარალი, რომელიც საკუთარ კაპიტალშია აღიარებული.

საწარმოს საქმიანობის შედეგები არის საწარმოს შემოსავლებსა და ხარჯებს შორის თანაფარდობა საანგარიშგებო პერიოდში.

შემოსავალი არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდა, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით. შემოსავლის ცნება მოიცავს ამონაგებსა და შემოსულობას.

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში და ცნობილია სახელწოდებით, ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან.

შემოსულობა გულისხმობს სხვა მუხლებს, რომელიც აკმაყოფილებს შემოსავლის განმარტებას, მაგრამ არ წარმოადგენს ამონაგებს, მაგ.: პროცენტი ბანკში განთავსებული დეპოზიტიდან, დადებითი საკურსო სხვაობა და სხვა.

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა კაპიტალის მესაკუთრეზე განხორციელებულ განაწილებასთან.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პირდაპირი შედეგია.

შეფასების საიმედოობა ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ განსაზღვრის შესაძლებლობაა.

მთლიანი სრული შემოსავალი არის შემოსავალსა და ხარჯებს შორის არითმეტიკული სხვაობა და არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელ ელემენტს. ამდენად, მისთვის საჭირო არ არის აღიარების განსხვავებული პრინციპის არსებობა.

მოგება ან ზარალი არის სხვაობა შემოსავლებისა და ხარჯების ისეთ მუხლებს შორის, რომელიც მსს ფასს-ით არ კლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლის შემადგენელ

კომპონენტად. მოგება ან ზარალი არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელ ელემენტს და მისთვის საჭირო არ არის აღიარების განსხვავებული პრინციპის არსებობა.

აქტივების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით მათი არსებობის შემთხვევაში. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გამჟღავნებული ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე; ეს არის **ფასი**, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულებების გადაცემისას, შეფასების თარიღისათვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციების დროს.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს აღვილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია.

ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს მომწოდებლისთვის, ბროკერებისთვის გადასახდელ თანხებს, მომსახურების საკომისიოს და საბაჟო გადასახადს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, თუ იგი არსებითია, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ფინანსური ანგარიშგების მუხლების აღიარების კრიტერიუმები

ფინანსური ანგარიშგების **მუხლების აღიარება** არის იმ მუხლების ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებას და შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული **მომავალი ეკონომიკური სარგებლის** კომპანიაში შემოსვლა ან გასვლა;

და

ბ) მუხლის გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები

სააღრიცხვო პოლიტიკა არის გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ეთობლიობა, რომელსაც საწარმო იყენებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს. სააღრიცხვო პოლიტიკაზე ორიენტირებულია ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მეთოდები და ფორმები, რომელიც განსაზღვრულია თავად კომპანიის მიერ მის ფასს მოთხოვნების მე-10 განყოფილების შესაბამისად. თუ ნორმატიულ დოკუმენტებში არ არის მოცემული კონკრეტული რეკომენდაციები სამეურნეო საქმიანობის ფაქტების აღრიცხვის თაობაზე ან დაშვებულია მათი აღრიცხვის რამდენიმე ვარიანტი, კომპანია დამოუკიდებლად შეიმუშავებს სააღრიცხვო პოლიტიკას ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და საგადასახადო

აღრიცხვის რეგისტრების თავსებადობის გათვალისწინებით.

ამდენად, კომპანია იმ ოპერაციების და მოვლენების მიმართ იყენებს მსს ფასს, რომელიც ამ კონკრეტულ მოვლენებს ეხება, ხოლო თუ მისი გავლენა არაარსებითია, საწარმოს მსს ფასს გამოყენების ვალდებულება არა აქვს.

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მეთოდებს, რომლებიც მიღებულია სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმირების დროს და ექვემდებარება ბუღალტრულ ანგარიშგებაში გამჟღავნებას, მიეკუთვნება ძირითადი საშუალებების აღიარების და მათი ცვეთის, არამატერიალური აქტივების და მათი ამორტიზაციის, საწარმოო მარაგების, საქონლის შეფასების, საქონლის გაყიდვისგან მიღებული ამონაგების აღიარების მეთოდები.

სააღრიცხვო პოლიტიკას შეიმუშავებს მთავარი ბუღალტერი და ამტკიცებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილება შემდეგნაირად აისახება: თუ ცვლილება გამოწვეულია მსს ფასს-ის ცვლილებით, მაშინ ის აისახება გარდამავალი დებულების შესაბამისად, ხოლო ნებისმიერი სხვა ცვლილება აისახება რეტროსპექტულად, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო ახალ სააღრიცხვო პოლიტიკას გამოიყენებს წინა პერიოდების შესადარისი ინფორმაციის მიმართ, თუ ეს შესაძლებელია. ამასთან, ცვლილება განხორციელდება იმგვარად, თითქოს ყოველთვის მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენებოდა, და, შესაბამისი კორექტირებები განხორციელდება საკუთარი კაპიტალის ყველა იმ კომპონენტის საწყის ნაშთში, რომელმაც განიცადა ცვლილება.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შესვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე - სამ თვემდე ვადით; სახსრები 3 თვეზე მეტი ვადით, არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება და შეფასება

საწარმოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ისეთი აქტივებია, რომელიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დოკუმენტაცია

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მიღება ხდება მათი მწარმოებლებისაგან.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ტრანსპორტირება ხდება ცენტრალიზებულად, ერთი დაქირავებული ტრანსპორტით.

შესაძენი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება-ჩაბარების ადგილი განისაზღვრება მიწოდების პირობით და შესაბამისად, შეიძლება იყოს: მომწოდებლის საწყობი, დატვირთვის ადგილი, ნავსადგური, ან მიმღების საწყობი.

სასაქონლო მარაგის თვითღირებულება და თვითღირებულების ფორმულა

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც განეულება მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე იმპორტის ხარჯებს, დაბრუნებადი გადასახადების გარდა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულების განსაზღვრა დამოკიდებულია მათი შეძენის ფორმაზე, მოწოდების და გადახდის პირობაზე.

ყველა შემთხვევაში, კომპანია, ერთზე მეტი სახეობის მატერიალური ფასეულობის გადაზიდვას განახორციელებს ერთი სატრანსპორტო საშუალებით. გადაზიდვის (ტრანსპორტირების) ხარჯები ნაწილდება მატერიალური ფასეულობის სახეებზე მათი ფიზიკური ერთეულის და ღირებულების მიხედვით: ამ მიზნით გამოითვლება ხარჯების შეფარდებითი მაჩვენებელი, რომელსაც განაწილების კოეფიციენტი ეწოდება. განაწილების კოეფიციენტი K არის წილადი, რომლის მრიცხველშია გასანაწილებელი ხარჯები, ხოლო მნიშვნელში, განაწილების ბაზა - შეძენილი მატერიალური ფასეულობის ღირებულება ან ფიზიკური სიდიდე.

ცალკეული სახის მარაგის თვითღირებულება, ვინაიდან არ არიან ურთიერთშემცვლელი, განისაზღვრება ინდივიდუალურად.

შექმნის დანახარჯები

მარაგის შექმნის დანახარჯები მოიცავს: მათი შექმნის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საქონლის და მომსახურების შექმნასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შექმნის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ხარჯებად აღიარება

როცა მარაგი გაიყიდება, მათი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის თანხით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულება შექმნის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ

დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი განწევის პერიოდში.

ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამა (5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივი ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფუნქციურ ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის მოგების გადასახადი გაიანგარიშება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

დანარჩენი საგადასახადო ხარჯი შედგება სხვადასხვა მიმდინარე გადასახადებისგან, რომლებიც გაანგარიშებულია და აღიარდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც

მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების განწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დათვარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარვად საჭიროა რესურსების საწარმოოდან გასვლა.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების

შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების

ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, თუ ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

შენიშვნა 3 – ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2019 წ. 31 დეკემბერი	2019 წ. 1 იანვარი
ფული სალაროში	-	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	377,329	858,451
სულ ჯამი	377,329	858,451

შენიშვნა 4 – სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

ლარში	2019 წ. 31 დეკემბერი	2019 წ. 1 იანვარი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1,989,750	2,031,788
სულ ჯამი	1,989,750	2,031,788

შენიშვნა 5 – სხვა აქტივები

ლარში	2019 წ. 31 დეკემბერი	2019 წ. 1 იანვარი
დეპოზიტის თანხა	2,208,169	1,777,970
მისაღები პროცენტები	2,546	1,448
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	516	1,406
სულ ჯამი	2,211,231	1,780,825

შენიშვნა 6 – ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	ჯამი
ლარში		
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	2,291	2,291
შესყიდვა	-	-
გასვლა	-	-
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	2,291	2,291
დაგროვილი ცვეთა		
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,194	1,194
პერიოდის ცვეთის ხარჯი	458	458
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,652	1,652
საბალანსო ღირებულება		
2018 წლის ბოლოს	1,097	1,097
2019 წლის ბოლოს	639	639

შენიშვნა 7 – არამატერიალური აქტივები
არამატერიალური აქტივი

	პროგრამული უზრუნველყოფა	ჯამი
ლარი		
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,178	1,178
შემოსავლა	-	-
გასვლა	-	-
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,178	1,178

დაგროვილი ამორტიზაცია

	პროგრამული უზრუნველყოფა	ჯამი
2018 წლის ბოლოს	98	98
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	234	234
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია		-
2019 წლის ბოლოს	332	332
საბალანსო ღირებულება		
2018 წლის ბოლოს	1,080	1,080
2019 წლის ბოლოს	846	846

**შენიშვნა 8 _ საჯარო და სხვა მოკლევადიანი
ვალდებულებები**

ლარში	2019 წ. 31 დეკემბერი	2019 წ. 1 იანვარი
საჯარო ვალდებულებები	216,880	225,245
ვალდებულება სანარმო პერსონალის მიმართ	377	17,278
სულ ჯამი	217,257	242,523

შენიშვნა 9 _ ამონაგები

ლარი	2019 წ. 31 დეკემბერი
საქონლის რეალიზაცია	6,041,662
სულ ჯამი	6,041,662

შენიშვნა 10 _ თვითღირებულება

ლარი	2019 წ. 31 დეკემბერი
საქონლის თვითღირებულება	(4,930,291)
სულ ჯამი	(4,930,291)

შენიშვნა 11 _ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	2019 წ. 31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	(104,498)
მიწისფასების ხარჯები	(10,172)
სარეკლამო ხარჯები	(151)
ბანკის მომსახურება	(11,426)
კომუნიკაციის ხარჯები	(2,493)
ცვეთა და ამორტიზაცია	(692)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(47,774)
სულ ჯამი	(177,206)

შენიშვნა 12 _ ფინანსური შემოსავალი

ლარი	2019 წ. 31 დეკემბერი
ბანკის დეპოზიტების პროცენტი	76,554

შენიშვნა 13 – განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები

ლარი	2019 წ. 31 დეკემბერი
მოგების გადასახადი	(45,000)
სულ ჯამი	(45,000)

კომპანიას საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული აქვს 1 წლამდე ვადით დეპოზიტი აშშ დოლარში, რომლის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 2019 წ. პერიოდში შეადგენს 3,45%-ს, ხოლო 2018 წელს 3,5 %-ს.

კომპანია ფინანსური შემოსავლის აღიარებას ახდენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

ფინანსური რისკების ფაქტორები**ა) საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარ საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

ბ) საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას აღნიშნული რისკი არ აქვს, რადგან სასესო ვალდებულებები არ გააჩნია.

გ) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

კომპანიის ძირითადი ტრანზაქციები განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში, კომპანიის საკურსო სხვაობის რისკი ძირითადად გამოწვეულია სავაჭრო ვალდებულებებით, კერძოდ, კომპანია

საქონლის შეძენას ახდენს უცხოურ ბაზარზე, უცხოურ ვალუტაში, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომელიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს მოცემულია ქვემოთ.

სავალუტო რისკები

2019 წელი 31 დეკემბერი

	აშშ დოლარში	ექვ. ლარში	ევროში	ექვ. ლარში
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	22145	63505	16414	52680
ბანკში განთავსებული დეპოზიტები	770014	2208169		
სულ ფინანსური აქტივები	792159	2271674	16414	52680
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	127	364	67461	216516
სულ ფინანსური ვალდებულებები	127	364	67461	216516

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას ლარის უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. ეს განაკვეთი გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისათვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის გავლენის შეფასებას.

31 დეკემბერი 2019	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	+20%	-20%	+20%	-20%
მოგება/ზარალი ფინანსურ აქტივებზე	454335	(454335)	10536	(10536)
მოგება/ზარალი ფინანსურ ვალდებულებებზე	(73)	72	(43303)	43303

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეცმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც

შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტის ფლობას, ასევე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო ვალდებულება.

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს.

სხვა დამატებითი ინფორმაცია

რომელიც აუცილებელია სამართლიანი წარდგენის მისაღწევად ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს.

კომპანიის მიერ, წინა საანგარიშგებო წელს, პირველად წარდგა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს. ამ ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნების დეტალიზებული მონაცემების ნაწილში წარმოდგენილია არაზუსტი ინფორმაცია, კერძოდ, განმარტებითი შენიშვნის - „შენიშვნა 3 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები“, - მონაცემების წარდგენაში, დაშვებულ იქნა მექანიკური ხასიათის შეცდომა, რომელიც კომპანიის მენეჯმენტმა აღმოაჩინა მიმდინარე პერიოდში. ვინაიდან ამ შეცდომას მუხლის ჯამზე, და არც ერთ დანარჩენ სხვა კომპონენტზე არანაირი არსებითი გავლენა არ მოუხდენია, ამიტომ, არ დაკვალიფიცირდა მაკორექტირებელ მოვლენად და, შესაბამისად, არ მოხდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშგების დაზუსტება-კორექტირება.

მაგრამ, ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპების საფუძველზე, კომპანიის მენეჯმენტი საჭიროდ თვლის, დამატებითი ინფორმაციას სახით გაამჟღავნოს ახალი ახსნა-განმარტება ამ მუხლის სამართლიანი წარდგენის მიზნით:

- 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონდა „ფული სალაროში“, რაც ნიშნავს, რომ, **ეს მუხლი საერთოდ არ უნდა ყოფილიყო**, რამეთუ ტოლია ნულის; სალაროს მუხლში შეცდომით ასახული თანხები ფაქტიურად მიეკუთვნება მუხლს - „ფული საბანკო ანგარიშებზე“, ამიტომ, „სულ ჯამები“ სწორია, და ეს ციფრი ერთმნიშვნელოვნად ტოლია საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულისა.

აქედან გამომდინარე,

ამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს, განმარტებითი შენიშვნების ნაწილში, - „შენიშვნა 3“, - შეგნებულად ჩაინერა მუხლი: „ფული სალაროში“, რომლის ნაშთებში დაფიქსირებულია ნული, როგორც მიმდინარე, ასევე, წინა შესადარის პერიოდში (2019 წლის 1 იანვარი), და ეს მონაცემი იდენტურია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფაქტიური ნაშთისა სალაროში, რომელიც ნულის ტოლფასია, სულ ჯამი კი შედგება მხოლოდ საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. ადგილი ჰქონდა მხოლოდ არამაკორექტირებელ მოვლენას, კერძოდ:

2020 წ. ივნისის თვეში მოხდა დივიდენდის გამოცხადება და განაწილება 545 381ლარის ოდენობით. მოგების გადასახადმა განაწილებულ დივიდენდზე შეადგინა 96 243ლარი, რაც

დაკვალიფიცირდა საგადასახადო ვალდებულებად მოგების გადასახადის ნაწილში, რომელიც დაითვარა ამავე პერიოდში. ვინაიდან ეს მოვლენები მოხდა 2020 წელს, შესაბამისად, იგი აისახება სრულად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2020 წლის 24 სექტემბრით.

შპს გალანტი დირექტორი _____ ნიზამ მამედოვი

ბ.ა.


დაკვალიფიცირდა საგადასახადო ვალდებულებად მოგების გადასახადის ნაწილში, რომელიც დაიფარა ამავე პერიოდში. ვინაიდან ეს მოვლენები მოხდა 2020 წელს, შესაბამისად, იგი აისახება სრულად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2020 წლის 24 სექტემბრით.

შპს გალანტი

დირექტორი



ნიზამ მამედოვი

ბ.ა.

